საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-12/10219
27/10/2021

10219-15-12-2-202110271033

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგვაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის/თანამშრომელთა[1] მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენასთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან დაკავშირებით. გახშირებული მომართვიანობის გამო, სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციის საქმიანობის ხარისხი ჩვენი შესწავლის საგანი გახდა. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის[2] საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე - საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.[3]

---

[1] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა მასალები წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაშტრიხვით, რის გამოც კონკრეტულ თანამშრომელთა ვინაობა უცნობია.

[2] ამჟამად - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ინტენსიურად განაგრძობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის მონიტორინგს, მისი მუშაობის ეფექტიანობის ანალიზის მიზნით. მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ თვეებში, სახალხო დამცველმა უკვე მოგმართათ რამდენიმე ინდივიდუალური წინადადებით არასრულფასოვნად ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შესახებ. აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, სადაც კვლავ გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების ფაქტი.

კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებული [redacted] [redacted] საქმე, რომლის გარემოებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად არ ჩატარდა. კერძოდ, **სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა საქმისწარმოების დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ სცადა მტკიცებულებების მოპოვება,** რაც დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის ან უარყოფის რეალურ შესაძლებლობას მისცემდა.

ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულებაში ესაუბრა მსჯავრდებულ [redacted]. მსჯავრდებულმა განმარტა, რომ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სურს სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულების დირექტორთან შეხვედრა. მისი გადმოცემით, არაერთხელ სთხოვა დაწესებულების (კორპუსის) თანამშრომლებს მიეცათ საწერი საშუალება, რათა წერილობით მიემართა დირექტორისთვის, თუმცა, საწერ საშუალებებს არ აძლევენ. მსჯავრდებულმა ასევე მიუთითა, რომ პრეტენზიის გამოთქმის შემთხვევაში გადაჰყავდათ დეესკალაციის ოთახში.

მსჯავრდებულის მიერ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წლის 4 ნოემბერს მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს.[4] 2021 წლის 16 თებერვალს დეპარტამენტმა აპარატს აცნობა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, [redacted] უფლებების დარღვევის ფაქტები არ დადასტურდა.[5]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ", ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf>.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 4 ნოემბრის N15-12/11000 წერილი.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 16 თებერვლის N37400/01 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგის დეპარტამენტიდან გამოითხოვა საქმისწარმოების მასალების ასლები, რომელიც სახალხო დამცველის აპარატს N114470/01 წერილით მიეწოდა.

მასალების თანახმად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში საქმისწარმოება დაიწყო 2020 წლის 4 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე, რომელსაც თან ერთვოდა რწმუნებულისა და მსჯავრდებულ[redacted] შეხვედრის დროს შედგენილი ოქმის ასლი.

მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამისმა სპეციალისტმა 2020 წლის 4 დეკემბრის მოხსენებითი ბარათით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55-ე ბრძანების N17-ე მუხლის თანახმად ითხოვა საქმისწარმოების ვადის გაგრძელება 1 თვით, 2021 წლის 4 იანვრამდე, რაც დაკმაყოფილდა.

მიუხედავად ვადის გაგრძელებისა, მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტმა 2021 წლის 4 იანვრის მოხსენებითი ბარათით კიდევ ერთხელ ითხოვა საქმისწარმოების ვადის გაგრძელება 1 თვით, კერძოდ 2021 წლის 4 თებერვლამდე, რაც ასევე დაკმაყოფილდა.

შესწავლილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგის სამსახურის აცნობა 2020 წლის 4 ნოემბერს, ხოლო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა/თანამშრომლებმა სამსახურეებრივი შემოწმების შესაბამისი მოქმედებები დაიწყო 2021 წლის იანვრიდან, ანუ, საქმისწარმოების დაწყებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ.

საქმეზე ჩატარდა შემდეგი მოქმედებები:

- მსჯავრდებული [redacted] ახსნა-განმარტება უნდა ჩამოერთვათ 2021 წლის 5 იანვარს, თუმცა პატიმარმა უარი განაცხადა მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთან შეხვედრაზე;

- 2021 წლის 22 იანვარს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულების ტექნიკურ მუშაკს;
- 2021 წლის 25 იანვარს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულების კორპუსის ოფიცრებს და რეჟიმის განყოფილების უფროსს;
- ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულების მთავარ ექიმს;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულებიდან ამოღებული იქნა საქმისწარმოებისთვის საჭირო [redacted] დეესკალაციის ოთახში შესახლებასთან დაკავშირებული, ბრალდებულ/მსჯავრდებულებზე პირადი მოხმარებისა და ჰიგიენური საშუალებების გადაცემის აღრიცხვის ჟურნალის ასლები და სხვა დოკუმენტები.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში საქმისწარმოება დასრულდა 2021 წლის 4 თებერვალს.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ადამიანის ღირსება შეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.[6] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებსაც აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით აღიარებული უფლებების დაცვის გარანტია.[7]

ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხეებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების მიერ რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.[8]

გაეროს მიერ ასევე განსაზღვრულია პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტები, რომლის მიხედვითაც პენიტენციურ დაწესებულებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ინსპექტირება კვალიფიციური თანამშრომლების მხრიდან, რომელიც დანიშნული არიან ხელისუფლების მიერ, ხოლო ინსპექტორები ვალდებული არიან პატიმრობის ადგილზე შეამოწმონ ციხის მუშაობა კანონისა და განაწესის შესაბამისად და დარწმუნდნენ, რომ პენიტენციური დაწესებულებების მართვა ხორციელდება კანონის დაცვით.[9]

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული მოსამსახურეების მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს და შემოწმებას ასრულებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.[10]

მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებში შედის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება, სამსახურის გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება.[11] ხოლო, სამსახურებრივი შემოწმების დროს მონტორინგის

---

[6] საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

[7] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-3 თავი - „ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა“.

[8] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). მე-6 ნაწილი, პუნქტი 92.

[9] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 55.

[10] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

[11] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანების მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს მოსამსახურე პირისგან მიღოს ახსნა-განმარტება, ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გენერალური ინსპექცია ვალდებულია სამსახურებრივი შემოწმება ჩაატაროს კანონით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით[12];

სამსახურებრივი შემოწმების დასრულების შემდეგ, სათანადო საფუძვლების შემთხვევაში დგება შესაბამისი დასკვნა, ხოლო სათანადო საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სრულდება სამსახურებრივი შემოწმება.[13]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55-ე ბრძანების მე-17 მუხლით განსაზღვრულია, *რომ სამსახურებრივი შემოწმების ვადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.* საჭიროების შემთხვევაში, მოტივირებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გენერალური ინსპექციის უფროსს/უფროსის მოადგილეს შეუძლია ამ ვადის გაგრძელება *3 თვემდე.*

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N55-ე ბრძანების მე-10 მუხლით განსაზღვრულია, რომ *ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო* უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლს, შესაძლო დარღვევის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას; ასევე, უზრუნველყოფს ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენას, შესაბამისი დასკვნისა და მოხსენებითი ბარათის შემუშავებას.

წინამდებარე საქმის ანალიზი

არაეფექტური და უშედეგო საქმისწარმოების თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამისმა სპეციალისტებმა დროულად უნდა დაიწყონ და მაქსიმალურად მცირე დროში ამოწურონ საჭირო მოქმედებები, იქნება ეს დოკუმენტაციის მოძიება თუ საჭირო პირებისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა. სწორედ ამ მიზნით არის განსაზღვრული საქმისწარმოების პერიოდად 1 თვის ვადა. ცხადია, შესაძლებელია თავად შემოწმების პროცესი აღმოჩნდეს იმდენად მოცულობითი, რომ საჭირო გახდეს ვადის გაგრძელება შესაბამისი დასაბუთების

---

[12] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „ა", „ბ" და 23-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტები (ვინაიდან ყოფილი გენერალურ ინსპექციის ფუნქციებს ამჟამად მონიტორინგის დეპარტამენტი ასრულებს, ხოლო თავად მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა არ არის რეგულირებული ახალი ნორმატიული აქტით, ვხელმძღვანელობთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 მოქმედი ბრძანებით).

[13] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 26-ე მუხლი.

საფუძველზე, თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ უფლებადარღვევის სავარაუდო ფაქტის შემოწმების დაწყებაზე იქნეს უარი ნათქვამი რამდენიმე თვის განმავლობაში.

მით უფრო, რომ მსგავსი გაჭიანურებით თავად სავარაუდო უფლებდარღვეული პატიმარის ნდობა - შემოწმების ჩამტარებელი უწყებისა და მოტივაცია - მისი უფლებების დაცვის მიმართ მცირდება. რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ისიც კი, რომ პატიმარმა აღარ ითანამშრომლოს შემმოწმებელ უწყებასთან. აღნიშნულის ნათელი დასტურია ეს კონკრეტული საქმეც და ის გარემოება, რომ მსჯავრდებულმა [redacted] უარი თქვა შესაბამის თანამშრომელთან გასაუბრებაზე - მისი საჩივრის გადაგზავნიდან გასული იყო ორ თვეზე მეტი, რა დროშიც მას არავინ დაკავშირებია და არც მის საჩივართან დაკავშირებით განხორციელებულა რაიმე სახის რეაგირება.

ამასთან, საქმისწარმოებისთვის საჭირო მოქმედებების დროში გაჭიანურებამ შესაძლოა მტკიცებულებებს დაუკარგოს ძალა და ეფექტი, მითუმეტეს როდესაც ახსნა-განმარტება უნდა ჩამოერთვას შესაბამის პირებს, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სრულყოფილად ვერ გაიხსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მნიშვნელოვან დეტალები. დროში გაჭიანურებული საქმისწარმოება საბოლოოდ აზიანებს საქმის მსვლელობას, არაეფექტური და უშედეგოა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საქმისწარმოების გაჭიანურების პრაქტიკად ჩამოყალიბება აზიანებს უწყების იმიჯს, ნდობას კარგავს საზოგადოებისა და პირველ რიგში უფლებადარღვეული პატიმრების წინაშე. გამოიწვევს დაუსჯელობის სინდრომს და პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანთა უფლებების დარღვევების მომატებას.

დაუშვებელია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომლის მხრიდან გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულება, რამაც გამოიწვია საქმისწარმოების ვადების არაგონივრული გაჭიანურება, რეაგირების გარეშე დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს ზემოთაღნიშნულ უარყოფით შედეგებს.

წინამდებარე საქმეში, მსჯავრდებული [redacted] საჩივრის საფუძველზე დაწყებული შემოწმების მასალების შესწავლიდან გამოიკვეთა, რომ სამსახურებრივი შემოწმება არაეფექტიანად ჩატარდა. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის სამსახურის შესაბამისმა სპეციალისტმა/სპეციალისტებმა სამსახურებრივი შემოწმებისთვის აუცილებელი მოქმედებები დაიწყეს ინფორმაციის მიღებიდან მხოლოდ რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ.

როგორც აღინიშნა, საჯარო მოსამსახურე პასუხისმგებელია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, რაც წინამდებარე შემთხვევაში სწორედ აღნიშნული სპეციალისტის/სპეციალისტების მიმართ სამსახურებრივი შემოწმების დაწყების აშკარა საფუძველია.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [redacted] საჩივრისა და სახალხო დამცველის აპარატის წერილის საფუძველზე დაწყებული საქმისწარმოება წარიმართა არსებითი და გაუმართლებელი დაგვიანებით, რადგან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა/თანამშრომლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაციის მოძიება სცადა სამსახურებრივი შემოწმების დაწყებიდან მხოლოდ 2 თვის გასვლის შემდგომ. მსგავსი დაგვიანება წარმოადგენს სამსახურებრივ გადაცდომას, დაირღვა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 23-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი, რაც შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ამრიგად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, შეისწავლოთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლის/თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა მართლზომიერება.

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი